დამტკიცებულია
თსას-ის რექტორის
2020 წლის 29 მაისის N26 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადმიისა და სემინარიის (ს/კ 404439247) აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო- საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის** (ტექსტში შემდგომ - „თსას“) აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დებულების (შემდგომში - „დებულება“) მიზანია, ხელი შეუწყოს თსას-ში როგორც საღვთისმეტყველო სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და შინაგანი პასუხისმგებლობის დონის, ისე საზოგადოებაში თსას-ის პრესტიჟის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას.
2. დებულების მოთხოვნები ვრცელდება თსას-ში დასაქმებულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელ პერსონალზე (ამ დებულების მიზნებისათვის ტექსტში შემდგომ - „პერსონალი“), რომელიც თავისი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში უფლებამოსილია, შექმნას და გაასაჯაროოს ან/და გამოაქვეყნოს სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად მიღებული ნაშრომი. ზემოაღნიშნული ვრცელდება დოქტორანტებზეც, რომლებიც სასწავლო პროგრამის ფარგლებში უფლებამოსილნი არიან, შექმნან და გაასაჯაროონ ან/და გამოაქვეყნონ სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად მიღებული ნაშრომი.
3. დებულების დანიშნულებაა, მასში გათვალისწინებული პროცედურების მეშვეობით, უზრუნველყონ სწავლებისა და კვლევის, პერსონალის/დოქტორანტის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და მიუკერძოებლობის განმტკიცება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საღვთისმეტყველო ნაშრომების გამოქვეყნება და რეცენზირება თსას-ის მიზნების მისაღწევად; ამავდროულად, განსაზღვროს ის საპასუხისმგებლო ზომები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს აკადემიური ეთიკის დარღვევას.

მუხლი 2. აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობები

1. **პლაგიატი,** რაც გულისხმობს ნაშრომის ან მისი ნაწილის მისაკუთრებასა და გამოყენებას, ავტორის მითითებისა და, საჭიროების შემთხვევაში, მისი ნებართვის გარეშე. აქვე იგულისხმება გამოუქვეყნებელი ნაშრომი ან მისი ნაწილი, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, ასევე, დაცვის მიზნით მომზადებული და წარმოდგენილი

სადისერტაციო ნაშრომი, თეორიები, ცნებები, მონაცემთა წყარო-მასალები, სახელმძღვანელოები, მეთოდოლოგიები ან დასკვნები, გრაფიკები, გამოსახულებები და სხვ.

2. **კომპილაცია,** რაც გულისხმობს ნაშრომის შექმნას საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგებისა და ნაშრომების გამოყენებას ან მათ დაჯგუფებას წყაროების საკუთარი დამუშავებისა და ინტერპრეტაციის გარეშე.

3. **გაყალბება/ფალსიფიკაცია,** რაც გულისხმობს შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას (წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით), რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას.

4. **სამეცნიერო შედეგების განადგურება,** რაც გულისხმობს საკუთარი ან სხვის მიერ მიღებული მონაცემების ან ჩანაწერების განადგურებბას - დამფინანსებლის ხელშეკრულების, თსას-ის სამართლებრივი აქტებისა და პროფესიული ან დისციპლინური სტანდარტების დარღვევის გამოვლენის თავიდან აცილების მიზნით.

მუხლი 3. განცხადება აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ

1. აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია კანცელარიაში კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული წერილობითი განცხადება, შესაბამისი დოკუმენტაციით, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. განცხადება, გარდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:
ა) განცხადებაში მითითებული უნდა იყოს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული კონკრეტული დარღვევის/დარღვევების სახეობა;
ბ) განცხადებას უნდა ერთოდეს იმ ნაშრომთა ორიგინალები, რომლებითაც, განმცხადებლის აზრით, დასტურდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრული დარღვევა.
2. თუ განცხადება წარმოდგენილია წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ (ხარვეზით), განმცხადებელს განესაზღვრება არანაკლებ 5-დღიანი ვადა, რომლის გასვლამდეც მან უნდა შეავსოს ზემოაღნიშნული ხარვეზი.
3. ამ დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევაზე წარმოება იწყება მხოლოდ ამ მუხლის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისი, თანდართული დოკუმენტაციითა და ინფორმაციით აღჭურვილი განცხადების განხილვით, და სრულდება სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით.
4. წინამდებარე მუხლის მოთხოვნების დარღვევით წარმოდგენილი განცხადება არ განიხილება.

მუხლი 4. აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია

1. განცხადების რეგისტრაციის შემდგომ, არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში, იქმნება ,,აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია" (ტექსტში შემდგომ -

„კომისია”), რომლის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, სამეცნიერო საბჭოსთან კონსულტაციის საფუძველზე.

2. კომისია შესაძლებელია შედგებოდეს ფაკულტეტების, კათედრების, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, შესაბამისი დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირთაგან (მათ შორის - შესაძლებელია იყოს უცხოელი).

3. წინამდებარე დებულების მიზნებიდან გამომდინარე, იქმნება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირთა ჩამონათვალი, რომელიც, ფაკულტეტებისა და კათედრების ხელმძღვანელთა წარდგინებით, მტკიცდება რექტორის ბრძანებით. შესაბამისი ფაკულტეტისა და კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია, რექტორს წარუდგინოს ამ პუნქტით განსაზღვრული, სამეცნიერო მიმართულებების გათვალისწინებით შერჩეული, არანაკლებ 10 პირი, შემდგომში მათი კომისიაში შეყვანის მიზნით. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისათვის ზემოხსენებულ სიაში შეყვანაზე არასაპატიო მიზეზით უარის თქმა საფუძველია იმისა, რომ თსას-მა იმსჯელოს ასეთი პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. თსას-ის რექტორი, წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების მიზნით სამეცნიერო საბჭოსთან კონსულტაციისათვის, როგორც წესი, ხელმძღვანელობს ბრძანებით დამტკიცებული პირთა ჩამონათვალით.

4. კომისია, როგორც წესი, უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან. კომისია თავის პირველ სხდომაზე ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს. კომისიის წევრთა რიცხვი უნდა იყოს კენტი.

5. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებლისაგან დამატებით მიიღოს წერილობითი ინფორმაცია იმ გარემოებათა შესახებ, რაც ეფრო ნათლად წარმოაჩენს დარღვევის შინაარსს. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი არგუმენტაციით, განმარტებითა და ანალიზით.

6. განმცხადებელი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგინოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომლის წარუდგენლობაც საფუძველია განცხადებაზე წარმოების შეწყვეტისა.

7. კომისიას, კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია დამატებით მოიწვიოს შესაბამისი დარგის ექსპერტი, თავისი კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად.

8. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუკი მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3 მაინც. ამასთან, თსას-თან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი კომისიის წევრის მიერ კომისიის მუშაობაში არასაპატიო მიზეზით მონაწილეობაზე უარის თქმა საფუძველია იმისა, რომ თსას-მა იმსჯელოს ამ კომისიის წევრის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

9. კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით; ამასთან, კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

10. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ამ ვითარებაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით.

11. კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის - კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით).

12. კომისიის საქმიანობა აისახება კომისიის სხდომათა ოქმებში.

13. კომისიის სხდომა დახურულია. კომისია უფლებამოსილია, თავისი გადაწყვეტილების მიხედვით, მიმდინარე წარმოების რომელიმე ეტაპზე მოიწვიოს განმცხადებელი, და ვალდებულია, მიმდინარე წარმოების რომელიმე ეტაპზე მოიწვიოს განცხადებაში მითითებული, წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული დარღვევის/დარღვევების შესაძლო ჩამდენი პირი.

14. გარდა წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სხვა გადაწყვეტილებებისა, კომისია ვალდებულია შეიმუშაოს როგორც განცხადების მოთხოვნის, დარღვევის ხასიათისა და თავად იმ პირის შესახებ, რომლის საკითხიც განიხილებოდა, ისე დარღვევის არსებობის თუ არარსებობის, ასევე შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის, განმცხადებლის სტატუსისა (აკადემიური ხარისხი) და განცხადების შესწავლის მიზნით განხორციელებული პროცედურების შესახებ, დასკვნით ნაწილთან ერთად.

15. შედგენილი დასკვნის დასკვნით ნაწილში კომისია ვალდებულია პირდაპირ მიუთითოს და დაასაბუთოს დარღვევის/დარღვევების არსებობა ან არარსებობა.

16. კომისიის დასკვნა ძალაში შედის კომისიის წევრთა არანაკლებ 3/4-ის ხელმოწერის შემთხვევაში. კომისიის განსხვავებული აზრის მქონე წევრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვალდებულია, დასკვნის შედგენიდან ორი დღის ვადაში წარუდგინოს კომისიას განსხვავებული აზრი წერილობით (საკუთარი ხელმოწერით), კომისიის დასკვნაზე მისი დართვის მიზნით. კომისიის წევრის წერილობით ჩამოყალიბებული განსხვავებული აზრი კომისიის დასკვნის განუყოფელი ნაწილია.

17. კომისიის დასკვნა ეგზავნება თსას-ის სამეცნიერო საბჭოს, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

18. კომისიის წევრი ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის დასრულებამდე.

19. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი (დაინტერესებული პირი), ვისაც

მონაწილეობა აქვს მიღებული ორიგინალის ან სადავო ნაშრომის შექმნაში, პირი, რომელიც შესაძლო დამრღვევის ან ორიგინალის (დედნის) ნაშრომის ავტორის ახლო ნათესავია ან განმცხადებელია, ან - განმცხადებლის ახლო ნათესავი.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-19 პუნქტით გათვალისწინებულ ,,ახლო ნათესავში" იგულისხმებიან ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები. დაინტერესებული პირის წარმოებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები წყდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8, 92-ე, 93-ე მუხლებითა და კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 5. გადაწყვეტილების მიღება

1. გადაწყვეტილება აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე მიიღება სამეცნიერო საბჭოს მიერ, კომისიის დასკვნებსა და, საჭიროების შემთხვევაში, საქმის მასალებში არსებულ სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

2. აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე კომისიის დასკვნისთვის მისაღები გადაწყვეტილებების სახეობებია:

ა) აკადემიური ეთიკის **დარღვევის არარსებობის** შემთხვევაში, კომისიის დასკვნა მიიღება ინფორმაციის სახით (ცნობად);

ბ) აკადემიური ეთიკის **დარღვევის არსებობის** შემთხვევაში, კომისიის დასკვნიდან გამომდინარე მიიღება შემდეგი გადაწყვეტილება:

ბ.ა) წინამდებარე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებულია - თსას-ის უფლებამოსილი პირის/ორგანოს (რექტორის, სამეცნიერო საბჭოს) მიერ დამრღვევის (დასაქმებულის) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება (მათ შორის - აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება). დოქტორანტის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება თსას-ის წესდებითა და თსას-ის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით.

ბ.ბ) წინამდებარე დებულების მე-2 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დარღვევის არსებობა, რაც გამოვლინდა დამრღვევის სადისერტაციო ნაშრომში (დაცულში ან დასაცავად წარდგენილში), ითვალისწინებს თსას-ის უფლებამოსილი პირის/ორგანოს (რექტორის, სამეცნიერო საბჭოს) მიერ დამრღვევის (დასაქმებულის) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას (მათ შორის - აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას). დოქტორანტის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება თსას-ის წესდებითა და მიღებული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით.

ბ.გ) წინამდებარე დებულების მე-2 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დარღვევის არსებობის შემთხვევაში, საკითხი გადაეცემა თსას-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიას, დამრღვევის მიმართ შესაბამისი საპასუხისმგებლო ზომის გამოყენების მიზნით. დოქტორანტის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება თსას-ის წესდებითა და სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით.

3. აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე სამეცნიერო საბჭო, კომისიის დასკვნისთვის მისაღები გადაწყვეტილებების გარდა, განსაზღვრავს გამოვლენილ დარღვევაზე რეაგირების შემდეგ ფორმებს:

ა) **მიმართვა,** რაც წარმოადგენს თსას-ში დაცულ ან დასაცავად წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომში ამ დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის/დარღვევების არსებობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოსთვის წერილობით დასაბუთებული დოკუმენტის გაგზავნას მინიჭებული/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით;

ბ) **მითითება,** რომელიც წარმოადგენს დამრღვევ პირთან, სამომავლო სამსახურებრივი ურთიერთობის შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის მიცემულ დავალებას ამ დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის/დარღვევების არსებობის ფაქტის გათვალისწინების თაობაზე.

4. წინამდებარე დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობის/არარსებობის საკითხი განიხილება, მიუხედავად იმ გარემოებისა, თუ სად და როდის მოხდა შესაძლო დარღვევა.

5. წინამდებარე დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მხოლოდ ერთი გადაწყვეტილების სახეობა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან ერთზე მეტი რეაგირების ფორმა.

6. იმ პირის მიმართ, ვინც ერთხელ უკვე ჩაიდინა წინამდებარე დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული დარღვევა და ვის მიმართაც ჩატარებულ წარმოებაზე მიღებულ იქნა ამ დებულებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილების შესაბამისი სახეობისა და რეაგირების ფორმის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო დარღვევა ჩადენილ იქნა გადაწყვეტილების შესაბამისი სახეობისა და რეაგირების ფორმის გამოყენების შემდგომ პერიოდში, გარდა ამავე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისა.

იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დარღვევის არარსებობის თაობაზე, სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს სახელმძღვანელო გადაწყვეტილება ამ დებულებით რეგულირებულ საკითხებზე შესაბამისი პირის შესაძლო შემდგომ განცხადებებში დასმული საკითხის განხილვასა და შესწავლაზე უარის თქმის შესახებ.

ასეთ შემთხვევაში, სამეცნიერო საბჭო ასევე უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება განმცხადებლის მიერ არასწორი ბრალდებებისა და მოსაზრებების წარმოდგენის თაობაზე ინფორმაციის გაზეთში („კლიტე დავითისი“) გამოქვეყნების შესახებ. ამასთან ერთად, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი თსას-ის თანამშრომელია, იმსჯელოს საკითხის თსას-ის დისციპლინური კომისიისათვის გადაცემის შესახებ, შესაბამისი საპასუხისმგებლო ზომის გამოყენების მიზნით. სტუდენტის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება თსას-ის წესდებითა და თსას-ის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

კომისიის სრული დოკუმენტაცია, სამეცნიერო საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებასთან ერთად, შესანახად გადაეცემა თსას-ის კანცელარიას.